



**კავკასიის უნივერსიტეტი  
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა**

<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</b>	
	არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე</b>	
	Undergraduate Program in Architecture
<b>უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური</b>	
	ბაკალავრიატი
<b>საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი</b>	
	აკადემიური
<b>სწავლების ენა</b>	
	ქართული
<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</b>	
<b>ქართულად:</b>	არქიტექტურის ბაკალავრი
<b>ინგლისურად:</b>	Bachelor of Architecture
<b>საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი</b>	
<b>ინფორმაცია იხ. "პროგრამის ხელმძღვანელის CV"</b>	მარინე მაისურაძე
<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	
<p>პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის ათვისება. თითოეულ სემესტრში 30 ECTS და წელიწადში 60 ECTS კრედიტის განაწილებით.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სწავლების ვადაა ოთხი, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა ექვსი წელიწადი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას (21 კვირას-დამატებითი გამოცდის შემთხვევაში) შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კალენდარულ კვირაზე (42 დამატებითი გამოცდის შემთხვევაში).</p> <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისა და კონსულტაციებისთვის განკუთვნილ დროს.</p> <p>პროგრამით განსაზღვრული დატვირთვის კრედიტების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი საგნები - 40 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო ინგლისური ენა 20 ECTS)</li> <li>• საბაზო სავალდებულო საგნები - 30 კრედიტი</li> <li>• დარგობრივი სავალდებულო საგნები - 160 კრედიტი</li> <li>• დარგობრივი არჩევითი საგნები - 10 კრედიტი</li> </ul> <p>სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი აითვისოს ალტერნატიული გზით - თავისუფალი კრედიტებით.</p> <p>არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შედეგად აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</p>	

<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.</li> <li>• პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში.</li> </ul>	
<b>საბაკალავრო პროგრამის მიზანი</b>	<p>პროგრამის მიზანია, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონის არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება. მისცეს სტუდენტს ზოგადი და ფართო ცოდნა მის მიერ არჩეულ სპეციალობაში შეისწავლოს პროექტირების და მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და დამუშავება. არქიტექტურის საფუძვლების, დაპროექტების ძირითადი პრინციპების და მეთოდების მცოდნე შემოქმედებითი აზროვნების მქონე სპეციალისტის მომზადება, რაც წინაპირობაა მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით არქიტექტურული კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა.</p>
<b>საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები</b>	<p>არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p>
<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.</li> <li>• ქალაქთმშენებლობის, მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის მიმართულებით პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება;</li> <li>• არქიტექტურულ პროექტირებაში მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა</li> <li>• კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და შენობის დაპროექტებასთან დაკავშირებული საინჟინრო პრობლემების ცოდნა.</li> <li>• არქიტექტურაში კომპოზიციის კანონების, არქიტექტურის ისტორიის და თეორიის, სახვითი ხელოვნების, ბუნებრივ – კლიმატური ფაქტორების, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების, როგორც არქიტექტურულ დაპროექტებაზე გავლენის მქონე სფეროების ცოდნა და გაცნობიერება;</li> <li>• საპროექტო მასალის ვიზუალიზაციისთვის პროფესიული ხერხების ცოდნა /საინჟინრო გრაფიკის კომპიუტერული პროგრამები/;</li> <li>• დაპროექტების თეორიის და მეთოდების, სხვადასხვა კონსტრუქციების, მასალების თვისებების და მშენებლობის მეთოდების ცოდნას;</li> <li>• არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სოციალური კონტექსტის გაცნობიერება;</li> <li>• ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპების, შენობა-ნაგებობებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ცოდნა და გაცნობიერება;</li> <li>• მშენებლობაში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების, საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნიკური მომსახურების, მათი უსაფრთხოების სისტემების გაცნობიერება.</li> </ul>
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადეკვატური არქიტექტურული ენითა და საშუალებებით არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი ნამუშევრების შექმნის და წარდგენის უნარი;</li> <li>• ბუნებრივ-კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, ფუნქციური, ესთეტიკური, ტექნიკური მოთხოვნების, უსაფრთხოების ტექნიკის, ერგონომიკული თავისებურებების და კომპოზიციის კანონების გათვალისწინებით და შესაბამისი მითითებებით დაპროექტება</li> <li>• მოქმედი საკანონმდებლო აქტების და ნორმატიული წესების საფუძველზე, ნახაზების, სკემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით, არქიტექტურული პროექტების დამუშავების უნარი;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>- შენობის პროექტირება - იდეიდან განხორციელებამდე ;</li> <li>- ხელით ნახაზის შესრულება, 2-D და 3-D კომპიუტერული მოდელირება, ობიექტის სივრცული მოდელის შესრულება;</li> <li>- მუშა ნახაზების წაკითხვა და შესრულება</li> <li>- რესტავრაცია/რეკონსტრუქციის პრინციპების გამოყენება</li> <li>- ქალაქგეგმარებითი პრინციპების გამოყენება</li> <li>- ხელოვნების ისტორიის ძველი თუ ახალი მიმართულებებს ცოდნის გამოყენება არსებულ რეალურ სიტუაციაში;</li> <li>- შენობის აზომვა, ნახაზის გრაფიკული შესრულება;</li> <li>- კონსტრუქციული ნახაზის წაკითხვა,</li> <li>- მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიების და მასალების გამოყენება განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას, ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებ გვერდები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;</li> <li>• მათემატიკის, კომპიუტერული საკომუნიკაციო მეცნიერების პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;</li> <li>• წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აბსტრაქტული მონაცემები და კონცეფციები გამოიყენოს მოცემული საჭიროებისათვის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებისას და კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად.</li> </ul>
დასკვნის გაკეთების უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურაში პრობლემის ანალიზისა და მისი აღმოფხვრისათვის საჭირო მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის უნარი;</li> <li>• იდეების ვერბალური საშუალებებით გადმოცემის უნარი;</li> <li>• ტექნიკური, ორგანიზაციური და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და(თვით)კრიტიკული განსჯის უნარი;</li> <li>• გამომუშავებული აქვს რაოდენობრივი მსჯელობის უნარი, შეუძლია რაოდენობრივი სახით მიწოდებული ინფორმაციის (ცხრილები, დიაგრამები, მათემატიკური გამონათქვამები) დამუშავება, ანალიზი და მსჯელობა. შეუძლია მათემატიკური და ყოფითი ხასიათის რაოდენობრივი ამოცანების გადაჭრა;</li> <li>• არქიტექტურის სფეროში არსებული მკაფიოდ გამოკვეთილი ამოცანის ან პრობლემების ამოცნობა, განყენებული მონაცემების, სიტუაციების, კონსტრუქციული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროექტირებასთან დაკავშირებული სხვა საინჟინრო პრობლემების გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</li> <li>• წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით შეუძლია პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია;</li> <li>• აქვს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი, შეუძლია ნაშრომის/ტექსტის გაფორმება, პლაგიატობის თავიდან აცილება, სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქართულ და ინგლისურ ენებზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას, ასევე შეუძლია დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა და გააზრება;</li> <li>• უცხო გარემოში ადაპტირება და მოქმედება, აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობა და დიალოგის წარმოება;</li> <li>• თავისუფლად შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება;</li> <li>• გუნდური მუშაობა პროექტირებისას; ჯგუფურ პროექტში ეფექტურად ჩართვის, მონაწილეობისა და ფუნქციების შესრულების უნარი;</li> <li>• ფართო აუდიტორიის წინაშე პროექტის წარდგენისა და დაცვის უნარი;</li> <li>• აქვს უნარი მისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების;</li> <li>• შეუძლია მიღებული ცოდნის შემოქმედებითად გამოყენება.</li> </ul>

<p>სწავლის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>უახლესი მიდგომების, თანამედროვე უნარ-ჩვევებისა და არქიტექტურაში ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების უნარი;</li> <li>პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლების, კრიტიკული აზროვნებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის დანახვისა და მისი შექმნის უნარი;</li> <li>კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება</li> </ul>
<p>ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>დროის რაციონალურად გამოყენება და განაწილება.</li> <li>ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</li> <li>საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, დამოუკიდებლად, გაბედულად, კრიტიკულად აზროვნება</li> <li>პროფესიული, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების კარგად გააზრების უნარი;</li> <li>არქიტექტურულ გარემოში მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერება და მათი გათვალისწინებით ქმედების უნარი.</li> <li>პატივის სცემს მსჯელობის და აზროვნების სხვადასხვა ფორმას</li> <li>შეუძლია დამოუკიდებლად, გაბედულად, კრიტიკულად აზროვნება</li> <li>არქიტექტურისთვის დამახასიათებელი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;</li> <li>მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში, აქვს მოვლენების ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების უნარი</li> </ul>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო არქიტექტურულ ან კონსტრუქტორის სახელოსნოებში, სამშენებლო კონპანიებში, სახელმწიფო სტრუქტურაში - მერიაში.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულებმა შესაძლებელია იმუშაონ ისეთ პოზიციებზე, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივი თვითმმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები;</li> <li>არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;</li> <li>არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;</li> <li>ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;</li> <li>აზომვითი სამუშაოების მწარმოებელი ფირმები და სხვა.</li> </ul>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	
<p>არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.</p> <p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს: მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; შუასემესტრულ შეფასებას; საბოლოო სემესტრულ შეფასებას.</p> <p>შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p><b>შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:</b></p> <p>(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%</p> <p>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.</p> <p>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.</p>	

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სწავლებისა და სწავლის  
მეთოდები**

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციისა და სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი.
- დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკულ ი მეთოდები მეცადინეობა კლასში / კლასგარეთ
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი,
- ანალიზის მეთოდი,
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
საოფისე კომპიუტერული პროგრამები	საგანი შეასწავლის სტუდენტებს თუ როგორ უნდა გამოიყენონ კომპიუტერი, როგორც მონაცემთა ეფექტური ორგანიზების, ანალიზისა და კომუნიკაციის საშუალება. საგნის საშუალებით სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებსა და ინტერნეტ რესურსების ეფექტურ გამოყენებას, ძირითად კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და კონცეფციებს. საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ინტერნეტის სამიზნო სისტემები, E-mail -ის აპლიკაციები, MS OFFICE 2013-ის პროგრამები: MS Word, MS Power Point მაღალ დონეზე და MS Excell (საბაზისო დონეზე).	სავალდებულო	5	I
ქართული წერისა და მეტყველების კულტურა	კურსი ორიენტირებულია აუმჯობესოს სტუდენტებს ქართულად წერისა და მეტყველების კულტურის დონე და დაეხმაროს აკადემიური ნაშრომის უნარ-ჩვევების განვითარებაში, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად აწარმოონ აკადემიური კვლევა. პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტები შეასრულებენ სპეციალურ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს ზეპირი და წერილი მეტყველების დახვეწას; ისინი შეისწავლიან საქმის ქაღალდების (CV-ის, განცხადებების, სამოტივაციო წერილის...) შედგენას; გამოუმუშავებთ აზრის მწყობრად, არგუმენტირებულად და გამართულად ჩამოყალიბების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების უნარები, წერილობითი ნაშრომისა მომზადებისა და სათანადოდ გაფორმების უნარი. სტუდენტები მოაწყობენ პრეზენტაციებს, დისკუსიებს, რაც ხელს შეუწყობს საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.	სავალდებულო	5	I
მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის სასწავლო პროგრამა სტუდენტებს აცნობს ცივილიზაციების არსს, გაიაზრებს და წარმოაჩენს ამ ფენომენს, ანალიზებს მისი განვითარების ეტაპებს, კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებას უძველესი დროიდან დღემდე. სალექციო კურსი აგებულია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით. ამ ხანგძლივი და მრავალფეროვანი პროცესის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევით, წარმოჩინებული მსოფლიო ისტორიის თითოეული საფეხური, სტუდენტს წარმოადგენას უქმნის ცივილიზაციების აღმოცენების პირობებზე, უძველეს ადამიანთა გარემოსთან დამოკიდებულებაზე, მითოსურ აზროვნებასა და რელიგიურ სისტემებზე, კაცობრიობის მიერ შექმნილ მრავალსაუკუნოვან ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, განათლებისა და აღზრდის სისტემებზე. განიხილება, აგრეთვე, ცივილიზაციების განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების, ხალხთა შორის კულტურული კავშირების, გეოგრაფიული გარემოსა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხები	სავალდებულო	5	III
A1.0 ზოგადი ინგლისური	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს ცხო ენის პრაქტიკულ კურსს. სწორედ ამ სემესტრის განმავლობაში იქმნება ის საფუძველი, რომელიც ყოველი მომდევნო ეტაპის წარმატებულად გავლის წინაპირობად შეიძლება იქნას განხილული. მოცემული სალექციო	სავალდებულო	5	I

	<p>კურსის მეორე სემესტრის სალექციო კურსთან ერთობლიობაში წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ მან სრულად დაფაროს ა1 დონე.</p> <p>თუმცა უკვე პირველი ეტაპი ორიენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (მოსმენა, კითხვა) ისე პროდუქტიული (მეტყველება, წერა) საბაზო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.</p> <p><b>გრამატიკა:</b> განსაზღვრელი და განუსაზღვრელი არტიკლი; to be, to have, to have got ზმნების უღლება აწმყო და ნაწმყო დროში. There's (There're) კონსტრუქცია აწმყო მარტივ დროში; ჩვენებითი ნაცვალსახელები this/these – that/those; მრავლობითი რიცხვი (-s, -es); ადგილის წინდებულები (in front of, in, on, next to, behind, under). კუთვნილებითი ბრუნვა; კუთვნილებითი ზედსართავი სახელები/ნაცვალსახელები; აწმყო მარტივი დრო; სიხშირის გამომხატველი ზმნიზედები; დროის წინდებულები (at, in, on); აწმყო დროის მიმოხილვა. აწმყო განგრძობითისა და აწმყო განუსაზღვრელი დროის შეპირისპირება; მრავლობითი რიცხვი, თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები; How much/how many; განუსაზღვრელი არტიკლი –a/an; განუსაზღვრელი ნაცვალსახელები – some/any; სიმრავლის გამომხატველი ნაცვალსახელები a little/a few; ნაწმყო მარტივი დრო; მოძრაობის გამომხატველი ზმნიზედები; ზედსართავი სახელი/ზმნიზედა;</p> <p><b>ლექსიკა:</b> ყოველდღიურ მეტყველებაში გამოსაყენებელი ლექსიკური ერთეულები და მზა ფრაზები.</p> <p><b>ტექსტების თემატიკა</b> და ლექსიკა: ადამიანის გარეგნობა, ყოველდღიური საქმიანობები; ოჯახის წევრები; რესტორანი და საკვები; ჯანმრთელობის პრობლემები; ცხოველები; მოგზაურობა; თანამედროვე ტექნოლოგიები; საყიდლები და მაღაზიები;</p>			
<p>A1 ზოგადი ინგლისური</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიმყარებენ პირველი სემესტრის განმავლობაში შეძენილ ენობრივ უნარ-ჩვევებს და მიიღებენ იმ ენობრივ ცოდნას, რომელიც სრულად შეესაბამება A 1 დონეს (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო).</p> <p><b>გრამატიკა:</b> დროთა სისტემა ინგლისურ ენაში (წარსულის, აწმყოსა და მომავლის ჯგუფის დროები) – მარტივი და განგრძობითი; მომავლის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში; ზედსართავი სახელები და ზმნისზედები; მათი ადგილი წინადადებაში; ზედსართავი სახელებისა და ზმნისზედების შედარების ხარისხები; მოდალური ზმნები; ვალდებულებისა და აუცილებლობის გამოხატვის გზები; ინფინიტივის ცნება – ინფინიტივის სახეები; არტიკლის ცნება; თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები; განსხვავება much, many; a little, a few-ს შორის.</p> <p><b>თემატიკა:</b> თანამედროვე ტექნოლოგიები; სხვადასხვა ქვეყანათა კულტურები და ჩვეულებები, ჟესტ-მიმიკის ენა; გლობალური საკითხები (ეკოლოგია და ბუნების დაცვა); დანაშაული და სასჯელი, დანაშაულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; პუბლიკაციები (გამოჩენილი მწერლები, ნაწარმოებები და ნაწარმოებების პერსონაჟები); გონება და მეხსიერება; უდიდესი მეცნიერები.</p> <p><b>ლექსიკა:</b> განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ფრაზული ზმნები და იდიომატური გამოთქმები; სიტყვათხზვა;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>II</p>

<p>A2.0 ზოგადი ინგლისური</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. კურსის ფარგლებში სტუდენტები იღრმავებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და იძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მას შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. მოცემული სალექციო კურსის მეორე სემესტრის სალექციო კურსთან ერთობლიობაში წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის რომ აიღოს A 2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p><b>გრამატიკა:</b> აწმყო განგრძობითი და აწმყო განუსაზღვრელი დრო (გამეორება და გამოწვევის შემთხვევები); უარყოფითი მნიშვნელობის მიმნიჭებელი პრეფიქსი ინგლისურ ენაში; ზედსართავ სახელთა რიგითობა; ზედსართავ სახელთა შედარების ხარისხები. არსებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები; ხოლმეობითობის გამოხატვის საშუალება (used to); კითხვის დასმის და თხოვნის გამოხატვის თავაზიანი ფორმები. არტიკლები და სიმრავლის გამოხატველი სიტყვები; თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები; მომავალი მოქმედების გამოხატვის საშუალებები; აწმყო სრული და ნამყო დრო (შეპირისპირება);</p> <p><b>ტექსტების თემატიკა და ლექსიკა:</b> ადამიანის გარეგნობა, ყოველდღიური საქმიანობები; ოჯახის წევრები; რესტორანი და საკვები; ჯანმრთელობის პრობლემები; ცხოველები; მოგზაურობა; თანამედროვე ტექნოლოგიები; საყიდლები და მალაზიები;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>I / III</p>
<p>A2 ზოგადი ინგლისური</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. კურსის ფარგლებში სტუდენტები განარგობენ იმ კომპეტენციების განმტკიცებაზე მუშაობას, რომლებიც შეიძინეს წინა სამი სემესტრის განმავლობაში და, გარდა ამისა, იძენენ იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლების სრულ შესაბამისობაშია უცხო ენის ცოდნის A 2 დონესთან. (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო). რაც გულისხმობს იმას, რომ კურსდამთავრებულს აქვს სათანადო ენობრივი ცოდნა იმისთვის, რომ ნებისმიერ ლიცენზირებულ ენობრივ საგამოცდო ცენტრში მიიღოს შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p><b>გრამატიკა:</b> მომავალი დროის გამოხატვის საშუალებები; მომავალი მოქმედების გამოხატვის თავისებურება დროისა და პირობის დამოკიდებულ წინადადებებში; მოდალური ზმნები – might/could; must/have to; can/ be allowed to; could/couldn't; ზმნის ინფინიტივური, გერუნდიული და მიმღეობითი ფორმები. ძახილის წინადადებები. პირობითი წინადადებების პირველი და მეორე ტიპი. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი – say/tell – ზმნების გამოყენებით; დროთა შეთანხმების მარტივი კანონები; კითხვითი წინადადებების გამოყენების თავისებურება ირიბ ნათქვამში; ვნებითი გვარი (ყველა დრო); ფრაზული ზმნები.</p> <p><b>თემატიკა:</b> თანამედროვე ტექნოლოგიები; სხვადასხვა ქვეყანათა კულტურები და ჩვეულებები, ჟესტ-მიმიკის ენა; გლობალური საკითხები (ეკოლოგია და ბუნების დაცვა); დანაშაული და სასჯელი, დანაშაულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; პუბლიკაციები (გამოჩენილი მწერლები, ნაწარმოებები და ნაწარმოებების პერსონაჟები); გონება და მეხსიერება; უდიდესი მეცნიერები.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>II / IV</p>



	<p>ლექსიკა: განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ფრაზული ზმნები და იდიომატური გამოთქმები; სიტყვათხზვა;</p>			
B1.0 ზოგადი ინგლისური	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისათვის საჭირო სპეციფიურ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსისა და მეორე სემესტრის სალექციო კურსის წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისათვის რომ აიღოს B1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ინგლისური ენის დროთა სისტემა – აწმყო, წარსული და მომავალი დროები. სტატიკური და დინამიური ზმნები. სრული დროების შეპირისპირება განუსაზღვრელ დროებთან. დროის მარკერები. მომავალი მოქმედების გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში. მოდალური ზმნები. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. ზმნის ინფინიტივური და გერუნდიული ფორმები. ზედსართავთა რიგითობა ინგლისურ ენაში. ხოლმეობითობის გამოხატვის საშუალება ინგლისურ ენაში (<i>used to</i>). ძახილის წინადადებები. კავშირები. პირობითი წინადადებების სამი ტიპი.</p> <p><b>ლექსიკა:</b> შედგენილი ზედსართავი სახელები; არსებითი და ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსები; წინდებულის გამოყენება ზედსართავი სახელების შემდეგ; სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული იდიომები. არსებითი სახელებისა და ზმნების ფიქსირებული წყვილები. იდიომები; ლათინური და სხვა ევროპული ენებთან შემოსული სიტყვები;</p> <p><b>განსახილველი თემები:</b> მოდის სამყარო; გრძნობები და განწყობა; დასაქმება, გენდერული თანასწორობა; ოფიციალური წერილისათვის დამახასიათებელი სტილი; ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა; ინფორმაციული ტექნოლოგიები. ეკოლოგიური პრობლემები. მამები და შვილები; სიყმაწვილე; გუნდური მუშაობა; უცხო ქვეყანაში ჩასვლით განცდილი კულტურული შოკი; აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელი სიტყვის მომზადება;</p>	სავალდებულო	5	I
B1 ზოგადი ინგლისური	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი სპეციალისტის პროფესიული აქტივობისთვის საჭირო ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და მისი წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს B 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.</p> <p>განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აზრის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბების უნარის გამომუშავებასა და თემატურად რთული, მოცულობითი მასალის კითხვის უნარ-ჩვევების შექმნაზე, ასევე აზრის ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარის დახვეწა-გამდიერებასა და</p>	სავალდებულო	5	I

	<p>სხვათა გაბმული მეტყველების გაგებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკური მარაგის გამდიდრება; იწყება მუშაობა დერევატივებისა და კომპოზიტების წარმოებასა და გამოყენებაზე, ასევე ფრაზეოლოგიზმების საბაზისო მარაგის შექმნაზე. ლექსიკური მარაგი დაახლოებით 2000 სიტყვაა.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ირიბი ნათქვამი; (ოთხივე საკომუნიკაციო ტიპი); მოდარული ზმნები; ზედსართავთა შედარების ხარისხები; აწმყო სრული დრო; ვნებითი გვარი; მიმართებითი ნაცვალსახელები; კოზატიური ზმნები; მიმღობითი კონსტრუქციები; ფრაზეოლოგიური ზმნები;</p> <p><b>თემატიკა და ლექსიკა:</b> სახლი და ბაღი; ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობები (სიყვარული და ქორწინება); მგზავრობა და მოგზაურობა; ფული და ფინანსები; ხელოვნება და ხელოვანები. კაცობრიობის მომავალი; მეცნიერება და საზოგადოება; გენიალური იდეები; სამსახურეობრივი აპლიკაციის ფორმა; ლათინური და სხვა ევროპული ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები;</p>			
<p>B2.0 ზოგადი ინგლისური</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსის მეშვიდე ეტაპს. იგი აქცენტრებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის წინაპირობას B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის შესამენად.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ინგლისური ენის დროთა სისტემა (გამეორება/შეჯამება); სტილისტური ინვერსია; ზედსართავი ხარისხების შედარების ხარისხები; არტიკლები და სიმრავლის გამოხატველი ზედსართავი სახელები; ზმნის ინფინიტივური და გერუნდიული ფორმები (ზმნები, რომელთა მნიშვნელობაც იცვლება მათთან ინფინიტივისა და გერუნდივის გამოყენების შემთხვევაში); დროის გარემოების დამოკიდებული წინადადებები; მომავალი დროის გამოხატვის საშუალებები; სახელადი ფრაზები; კრებითი არსებითი სახელები; მიზნის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში; ირიბი ნათქვამი; დროთა შეთანხმების კანონები;</p> <p><b>ლექსიკა:</b> ძლიერი და ნეიტრალური ზედსართავი სახელები; ფულთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; ფრაზული ზმნები; ზედსართავ სახელთა წარმოება (სუფიქსაცია/პრეფიქსაცია); ცხოველებთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; აბრევიატურები; საგაზეთო ჰედლაინების თავისებურებები ინგლისურ ენაში (დროთა გამოყენების თავისებურება); პრესის ენა (ბრიტანული გამოცემები)</p> <p><b>ტექსტების თემატიკა:</b> 1. გმირები; ექსტრემალური სიტუაციები/კატასტროფები; საგაზეთო სტატიები; ფული და ფინანსები; მშობლები და შვილები (თაობათა შორის არსებული განსხვავება); ცხოველთა სამყარო; პრესა და პაპარაცები; კრეატიული აზროვნება; „ვორკაპოლიკები“ და თანამედროვე ბიზნეს გარემო; თანამედროვე მედიცინის მიღწევები; ოლიმპიური თამაშები; მოსმენის კულტურა და ხელოვნება;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>I</p>

<p>B2 ზოგადი ინგლისური</p>	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. კურსი ორიენტირებულია ყველა იმ ენობრივი უნარ-ჩვევის დახვეწა-გაღრმავებაზე, რომელიც კურსდამთავრებულს ინგლისურენოვან გარემოში / ინგლისური ენის მატარებლებთან სპონტანური და შეუფერხებელი კომუნიკაციის / დისკუსიის საშუალებას მისცემს.</p> <p>მოცემული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენცია, რათა გაიგოს და, გარკვეული მომზადების შემდეგ - ჩაერთოს მის დარგობრივ სფეროში მიმდინარე დისკუსიაში. მოცემული კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ენობრივი ცოდნა B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად.</p> <p><b>გრამატიკა:</b> მოდალური ზმნები; კითხვითი წინადადებები; ქვემდებარისა და დამატების კითხვები; პირობითი წინადადებების ხუთი ტიპი; ალბათობის გამოხატვის საშუალებები ინგლისურ ენაში; კავშირებითი კილო მოდალურ ზმნებთან; ვნებითი გვარი;</p> <p><b>ლექსიკა:</b> განსახილველ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; კომპოზიციები; ფრაზული ზმნები; იდიომატური გამოთქმები; ლათინური წარმოშობის სიტყვები; ჟურნალ-გაზეთებსა და მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები;</p> <p><b>თემატიკა:</b> რელიგია; ტელე ვიქტორინები; ცნობილი სატელევიზიო სკანდალები; ადამიანის პირადი ცხოვრება; ეკოლოგიური პრობლემები; საკვები; ტექნოლოგიური მიღწევები; ინტერნეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები; დასაქმება; კოსმოსური ტურიზმი; სტერეოტიპები; ინტერნეტი და ქორწინება; ჭარბწონიანობა და მისი გამომწვევი მიზეზები. თანამედროვე კომუნიკაციები; კითხვის ხელოვნება;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>I</p>
<p>C1.0 ზოგადი ინგლისური</p>	<p>ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს ცოდნის გასაღრმავებლად არამარტო ევროპული უცხო ენის ფარგლებში, არამედ მთლიანი ევროპული სოციალურ-კულტურული გარემოს კონტექსტში. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ორი შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს C 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ხოლმეობითობის გამოხატვის თავისებურება (შეჯამება); ფრაზული ზმნები; წარსული დროის ჯგუფის დროები; ზმნის უსრული (infinitives; gerunds, participles) ფორმების (მოქმედებით და ვნებით გვარში) ყველა ფორმა და მათი სინტაქსური ფუნქციები; პირობითი წინადადებები (ხუთივე ტიპი); იმპლიციტური პირობითი წინადადებები; ელიპტური წინადადებები; ზედსართავი სახელებიანი კონსტრუქციები; ყველა დრო მოქმედებით და ვნებით გვარში (შეჯამება); ემოციის გამოხატვის საშუალებები ირიბ ნათქვამში; მოდალური და დამხმარე ზმნები ელიპტურ წინადადებებში; ენის რეგისტრები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების გამოყენებისას; წინდებულის ადგილი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ენის რეგისტრის გათვალისწინებით. არტიკლების არსი და მათი გამოყენების თავისებურება (შეჯამება);</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>I</p>

	<p><b>ლექსიკა:</b> მეტყველების ნებისმიერი ნაწილის მაწარმოებელი პრეფიქსები, სუფიქსები და ინფიქსები; კომპოზიციები; არსებითებისა და ზმნების შესიტყვებები; სინონიმებს შორის არსებული განსხვავება (დენოტაცია/კონოტაცია); იდიომატური გამოთქმები;</p> <p><b>ფრაზეოლოგიზმები</b> (მათი მნიშვნელობის მონაცვლეობა სხვადასხვა კონტექსტში);</p> <p><b>სტილისტიკა:</b> გრძელი და მოკლე წინადადებების მონაცვლეობა; მიმღობითი და გერუნდიული კონსტრუქციების გამოყენება დამოკიდებული წინადადებების ნაცვლად; ძლიერი და ნეიტრალური ზმნები და ზედსართავი სახელები;</p> <p><b>თემატიკა:</b> ოჯახი და მემკვიდრეობა; ქორწინება დიდ ბრიტანეთში; ომი და სიყვარული; ოჯახური კონფლიქტები; სპორტი; კინემატოგრაფია; ქალაქი და სოფელი; ასაკობრივი განსხვავება; ჩვევები და ტრადიციები; ქორწინება და ოჯახი.</p>			
C1 ზოგადი ინგლისური	<p>ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გადრმავებას და მათ შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისათვის რომ აიღოს C 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p> <p><b>გრამატიკა:</b> ირიბი ნათქვამი ზუსტი ციტირების გარეშე; ტონისა და ემოციის გამოხატვა ირიბ ნათქვამში; პუნქტუაციის გამოყენება ირიბ ნათქვამში; სასვენ ნიშნები ინგლისურ წინადადებაში (შეჯამება); ემფაზა ინგლისურ წინადადებაში; ემფატური do/did; ინვერსიული წყობა; მოდალური ზმნები; მიმღობითი და გერუნდიული კონსტრუქციები (მოქმედებითი/ვნებითი გვარი, სრული და უსრული ფორმები); დამოკიდებული წინადადებების ტიპები და მათი ჩანაცვლება მიმღობითი და გერუნდიული კონსტრუქციებით; ენის რეგისტრები. მიზეზ-შედეგობრიობის გამოხატვის თავისებურება ინგლისურ ენაში, კონტრასტის გამოხატვის სპეციფიკა – because;/because of; Due to; therefore; in addition; such ... that; so ... that; Despite/in spite; even though/although; otherwise; nevertheless (შეჯამება);</p> <p><b>ლექსიკა:</b> სინონიმები და ანტონიმები და მათი კონტექსტუალური თავისებურება; სინონიმთა შორის არსებული განსხვავება სხვადასხვა რეგისტრებში; ოფიციალური ენისათვის დამახასიათებელი სტილი; ჩასაცმელთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; სიტყვათა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება; ბრძანებითი წინადადებების პრაგმატიკა; სინონიმები და ანტონიმები; ზმნისა და არსებითი სახელის შეთანხმება რიცხვში (შეჯამება); აზრის იმპლიციტურად გამოხატვის საშუალებები;</p> <p><b>თემატიკა:</b> სიზმრები და წინასწარმეტყველება; დროში მოგზაურობა; მომავლის საკვები; ჩაცმა და მოდა; გემოვნება; ტურიზმი; საიდუმლო და ჭორები; შეთქმულების თეორიები; კინემატოგრაფია; უკვდავება.</p>	სავალდებულო	5	I
პრეკალკულუსი	სიმრავლეთა თეორიის და ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის ძირითადი ცნებების და	არჩევითი	5	I

	<p>თვისებების, რიცხვითი ფუნქციის ცნების და თვისებების შესწავლის საფუძველზე დაწვრილებით განიხილება ძირითადი ელემენტარული ფუნქციები და მათი შემცველი განტოლებების და უტოლობების ამოხსნის ხერხები და მეთოდები.</p> <p>აზროვნების მათემატიკური წესის განვითარების მიზნით განიხილება დებულებათა დასაბუთების მეთოდები. კურსის მიზანია შესწავლილ იქნას: სიმრავლეთა თეორიის და ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის ძირითადი ცნებები და თვისებები; რიცხვითი ფუნქციის ცნებასთან დაკავშირებული ძირითადი განმარტებები (განსაზღვრის და ცვლილების არეები, მნიშვნელობათა სიმრავლე, ფუნქციათა კომპოზიცია, ფუნქციის გრაფიკი და მისი მარტივი გარდაქმნები, შექცევადობა, მონოტონურობა, ლუწობა და კენტობა, პერიოდულობა), ელემენტარულ ფუნქციათა თვისებები, გრაფიკები და მათი შემცველი განტოლებების და უტოლობების ამოხსნა.</p> <p>დებულებათა დასაბუთების მეთოდების შესწავლა ხელს უწყობს აზროვნების მათემატიკური წესის განვითარებას.</p>			
<p>პოლიტოლოგია</p>	<p>თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს. მსოფლიო წესრიგში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, გაიზარდა პოლიტიკური მეცნიერების კვლევითი პრობლემები და მათი გააზრებათა მასშტაბები. შესაბამისად, სასწავლო კურსი ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდებას თანამედროვე პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის პრობლემების შესახებ. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: პოლიტიკისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების რაობა, სისტემები და რეჟიმები, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფო და სახელმწიფოს მართვის მექანიზმები, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები. კურსი ასევე ითვალისწინებს ცოდნის მიცემას საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის წესრიგისა და გლობალიზაციის დინამიკის შესახებ. სალექციო კურსი წარმოადგენს ორიგინალურ მიდგომას თანამედროვე პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საკითხების შესწავლისათვის. კურსის მიზანია სტუდენტმა მიიღოს ცოდნა პოლიტიკურ სფეროში, რაც, შესაბამისად, მას აძლევს პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი კონცეფციების სწორად გაგების, ალტერნატიული პერსპექტივების ინტერპრეტირების, რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნისა და საკითხთა ობიექტური ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას. თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში არსებული კომპლექსური პრობლემებისა და კონფლიქტის ანალიზისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სტუდენტების მომზადებას სამთავრობო, საერთაშორისო და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის. კურსის გავლის შემდგომ სტუდენტს შეუძლია თანამედროვე პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებული განსხვავებული კონცეფციების სინთეზირება და შეფასება, თანმიმდევრული პოლიტიკური არგუმენტაციისა და ანალიზის ჩამოყალიბება.</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>II</p>
<p>საქართველოს ისტორია</p>	<p>საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ზოგადი საკითხები - ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი</p>	<p>არჩევითი</p>	<p>5</p>	<p>II</p>

	<p>და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის, ასევე ძირითადი საკითხები - ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები.</p> <p>სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული ცოდნა საქართველოს ისტორიის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი მოვლენების შესახებ.</p>			
სოციოლოგია	<p>კურსი მიმოიხილავს და ერთმანეთს ადარებს იმ მიდგომებს, რასაც საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდი ეფუძნება. კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ კვლევის მიზნის ჩამოყალიბებას და კვლევის დაგეგმვას მის შესაბამისად და რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა შეგროვებასა და გაანალიზებას. ისინი ასევე შეძლებენ კვლევების შეფასებას მეთოდოლოგიური გამართულობის თვალსაზრისით. სტუდენტები გაიაზრებენ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ეთიკურ შედეგებს.</p> <p>კურსი უზრუნველყოფს განათლების მიღებას სოციოლოგიურ თეორიასა და კვლევის მეთოდოლოგიაში. პროგრამა სტუდენტებს განუვითარებს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს.</p> <p>კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ძირითად სოციოლოგიურ მიდგომებს, სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურას, გამოყენებით და თეორიულ სოციოლოგიას; კურსის ფარგლებში განხილული იქნება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდიკა, კვლევის ჩატარების ტექნიკა და მათი პრაქტიკაში გამოყენება.</p>	არჩევითი	5	II
ფილოსოფია	<p>ფილოსოფიის კურსი ითვალისწინებს ძველი და თანამედროვე ფილოსოფიური კონცეფციების გაცნობას. კურსში განხილულია ისეთ საკითხები, როგორცაა: ფილოსოფიის და კონკრეტული მეცნიერებების, ფილოსოფიის და მსოფლმხედველობის სხვა ტიპების (რელიგიის, მითოლოგიის და სხვ.) ურთიერთმიმართების საკითხი. ასევე განხილულია მსოფლმხედველობის დოგმატური და არადოგმატური ტიპები. კურსი ითვალისწინებს ცოდნის მიცემას ფილოსოფიური კატეგორიების და ცნებების შესახებ. ამავე დროს განსხვავებული ფილოსოფიური კონცეფციების გაცნობის პროცესში სტუდენტს უყალიბდება სხვადასხვა პოზიციების ანალიზის უნარი. რაც თავის მხრივ, მისცემს მას საშუალებას არასტანდარტულ გარემოში გამოავლინოს ტოლერანტული მსოფლმხედველობა. კურსის გავლის შემდგომ სტუდენტს შეუძლია თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემებთან დაკავშირებული მრავარიცხოვანი კონცეფციების სინთეზირება და შეფასება, თანმიმდევრული ფილოსოფიური არგუმენტაციისა და ანალიზის ჩამოყალიბება. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა გაიაზროს ფილოსოფიის მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრებაში, ფილოსოფიისა და კონკრეტული მეცნიერებების მსგავსება-განსხვავებები; გაეცნოს ფილოსოფიური და სხვა ტიპის მსოფლმხედველობების და მათი თავისებურებებს; ფილოსოფიური მსოფლმხედველობების განვითარების ძირითადი ეტაპებს, გააცნობიეროს ესთეტიკური, ზნეობრივი და ჰუმანისტური ღირებულებები.</p>	არჩევითი	5	II
ფსიქოლოგია	<p>ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს,</p>	არჩევითი	5	II

	<p>ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პიროვნების ქცევაზე, პიროვნების ფსიქიკურ პროცესებზე და თვისებებზე; ასევე განვიხილავთ პიროვნების თეორიებს და სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სოციალური გავლენა, ჯგუფში მიმდინარე პროცესები, ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე, სოციალური სიზარმაცე, პიროვნებათშორისი ურთიერთობებით გამოწვეული გავლენა: კონფორმულობა, დამთმობლობა, მორჩილება; აგრესიულობა, პროსოციალური ქცევა. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფსიქოლოგია, როგორც ადამიანის ქცევის შემსწავლელი მეცნიერება. კურსის მიმდინარეობისას სტუდენტები შეისწავლიან ცნობიერების მდგომარეობებს, ადამიანის სოციალური განვითარების ეტაპებს, მოტივაციასა და პიროვნების თეორიებს, აგრეთვე სოციალური ურთიერთობის თავისებურებებსა და კულტურული გარემოს გავლენას ადამიანის ქცევაზე.</p>			
კალკულუსი	<p>კურსი წარმოადგენს საბაკალავრო მათემატიკური განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. სიმრავლის ცნების და სიმრავლეებზე მოქმედებების, სიმრავლეთა ურთიერთმიმართებების ფუნდამენტური საკითხების შესწავლის საფუძველზე სიღრმისეულად განიხილება რიცხვითი ფუნქციების ცნება და თვისებები: შემოსაზღვრულობა, მონოტონურობა, ლუწობა-კენტობა და შექცევადობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რიცხვითი მიმდევრობების და ფუნქციების ზღვრების ცნებების და თვისებების შესწავლას, ზღვრების გამოთვლის მეთოდებსა და ხერხებს. მიღებული ცოდნის გამოყენებით ხდება ერთი ცვლადის ფუნქციების თვისებების გამოკვლევა და კლასიფიცირება უსასრულოდ დიდ და უსასრულოდ მცირე ფუნქციებად, უწყვეტ და წყვეტილ (პირველი და მეორე გვარის) ფუნქციებად. თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების მიზნით დაწვრილებით განიხილება წრფივი მათემატიკური მოდელები (დანახარჯების, შემოსავლების, მოგების, მოთხოვნის, მიწოდების და ამორტიზაციის), ფინანსური მათემატიკის ზოგიერთი საკითხი (მარტივი, რთული და უწყვეტი პროცენტი, დისკონტირება), აგრეთვე პოლინომიალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ერთი ალგორითმი.</p>	სავალდებულო	5	I
ფიზიკის საფუძვლები	<p>კურსი ფარავს მექანიკის, თერმოდინამიკის და სტატისტიკური ფიზიკის, ელექტროდინამიკის, ოპტიკის და ატომური ფიზიკის ძირითად საკითხებს ზოგადად. კურსში გათვალისწინებულია აგრეთვე, რელატივისტური მექანიკის და ქვანტური ფიზიკის ზოგიერთი საკითხები. კურსი (სალექციო დროის ლიმიტირების გათვალისწინებით) ძირითადად მიმართულია სტუდენტებისათვის ელექტრო-ოპტიკური მოვლენების შესახებ ცოდნის გადასაცემად. საწავლო კურსი მიმართულია სტუდენტისთვის გადაცემული იქნას ძირითადი ინფორმაცია ზოგადი ფიზიკური მოვლენების შესახებ, სტუდენტს უნდა განუვითარდეს უანარი გაანალიზოს ფიზიკური პროცესი და დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოვლენის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს შორის.</p>	სავალდებულო	5	II
სახვითი ხელოვნება I	<p>კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა სახვითი ხელოვნების ისეთ მიმართულებებში როგორცაა ხატვა და ფერწერა. სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტის ვიზუალურ-სივრცული წარმოსახვის უნარის განვითარებაზე. სტუდენტს შეუქმნას</p>	სავალდებულო	5	I

	<p>წარმოდგენა, შესწავლის ხატვისა და ფერწერის საწყისი წესები, სტრუქტურები, ნახატის სწორად შესრულებისთვის გამოსახვის კომპოზიციურ - ტექნიკური ხერხები და საშუალებები; სტუდენტს შემოქმედებითი მუშაობით გაუფართოვოს თვალთახედვა, დაკვირვებულობა, ანალიზის უნარი, შემოქმედებითი აზროვნება. რაც წინაპირობაა სივრცის ასახვისა და კონკრეტული ესკიზ-პროექტის იდეის პროფესიონალურ დონეზე შესრულებისთვის.</p> <p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გრაფიკული ხატვის პროცესის ხერხები და აგების მეთოდები;</li> <li>• ხატვის ტექნიკის ზოგადი სახეობები; ფორმის ქალაქზე წარმოქმნის საშუალებები;</li> <li>• კონსტრუქციული ნახატის არსი; სტადიები;</li> <li>• ფერწერული ხატვის შესწავლის საწყისი კანონები</li> <li>• ფერის სივრცული ზემოქმედება</li> </ul> <p>სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფორმების თავისებურებათა გამოსახვისთვის ხატვის მეთოდები, შერჩევა და გამოყენება.</p>			
სახვითი ხელოვნება II	<p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება: კონსტრუქციული ხატვის პროცესის ხერხები და აგების მეთოდები; სივრცეში გეომეტრიული სხეულების აგების შესწავლის მეთოდები; ესკიზური ჩანახატის მათოდები; ქანდაკების სივრცული წარმოსახვის შექმნის ტექნიკა; თავისუფალი პლასტიკა; გამოყენების მეთოდები; საპრეზენტაციო მასალის მომზადება/წარდგენა.</p>	სავალდებულო	5	II
ხაზვა I	<p>კურსი მოიცავს მხაზველობით გეომეტრიას. მხაზველობითი გეომეტრია წარმოადგენს მეცნიერებას გამოსახულებათა მეთოდებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების შესახებ. იგი შეისწავლის სივრცითი სხეულების სიბრტყეზე გამოსახვის მეთოდებს, არკვევს მათი ფორმების ურთიერთკავშირს მიღებული გამოსახულების მიხედვით და აძლიერებს საინჟინრო შემოქმედებითი პრაქტიკისთვის აუცილებელ სივრცით აზროვნებას. გარდა ამისა თანამედროვე არქიტექტურის, მშენებლობისა და მრეწველობის პირობებში ნახაზი ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. იგი უზრუნველყოფს აუცილებელ კავშირს დამპროექტებელსა და ინჟინერ პრაქტიკოსს შორის. ამიტომ ხაზვას ტექნიკოსთა საერთაშორისო ენას უწოდებენ, ხოლო მხაზველობით გეომეტრიას კი მის გრამატიკას. მხაზველობითი გეომეტრია სივრცითი აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის და გრაფიკული დახელოვნების აუცილებლობას წარმოადგენს.</p>	სავალდებულო	5	I
ხაზვა II	<p>კურსი მოიცავს ისეთ თემებს როგორც არის ტექნიკური ხაზვის, სამშენებლო ხაზვის და კონსტრუქციული გეომეტრიის საფუძვლები. არქიტექტორი თავისუფლად უნდა ერკვეოდეს და კითხულობდეს შენობა-ნაგებობათა გეგმარებაში შემავალ, ასევე სამგანზომილებიანი დეტალების ბრტყელ გამოსახულებაში აგებულ ნახაზებს. გარდა ამისა თანამედროვე არქიტექტურის, მშენებლობისა და მრეწველობის პირობებში ნახაზი ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. იგი უზრუნველყოფს აუცილებელ კავშირს</p>	სავალდებულო	5	II



	დამპროექტებელსა და ინჟინერ პრაქტიკოსს შორის.			
შესავალი სპეციალობაში	საგანი შეისწავლის არქიტექტურული პროექტირების ქრესტომატიულ საფუძვლებს და ამზადებს მომავალ სპეციალისტებს პროფესიული სწავლების მაღალი საფეხურებისთვის. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო-მეთოდოლოგიური სახით ხუროთმოძღვრების მდიდარი გამოცდილების უმნიშვნელოვანესი მიღწევების შესახებ ხელოვნური გარემოს პირველი გამოვლინებიდან - მოდერნისტული მიმდინარეობების უახლეს მიღწევებამდე.	სავალდებულო	5	II
არქიტექტურული კომპოზიცია და დაგეგმარების საწყისები	კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: არქიტექტურული კომპოზიციისა და დაგეგმარების მეთოდის საწყისები; არქიტექტურული კომპოზიციის ზოგადი სახეობები; ფორმის წარმოქმნის საშუალებები; არქიტექტურული პროექტირების არსი; პროექტირების სტადიები; სხვადასხვა სახის არქიტექტურული ობიექტების თავისებურებათა გამოსახვისთვის არქიტექტურული დაგეგმარების მეთოდები, შერჩევა და გამოყენება.	სავალდებულო	5	II
კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD არქიტექტორებისთვის	კურსის ფარგლებში განხილული კომპიუტერული პროგრამა AutoCAD ის საკითხები და ინსტრუმენტები, რაც მნიშვნელოვანია არქიტექტურის მიმართულების სპეციალისტებისთვის. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს და გააცნობიეროს პროექტის შესრულების ყველა საფეხური და ტექნიკური ნახაზების შესრულება კომპიუტერული პროგრამა - AutoCAD ის დახმარებით.	სავალდებულო	5	III
საშენი მასალები და ნაკეთობები	სასწავლო კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა საშენი მასალების ფიზიკური თვისებები. მათზე წყლის, დადებითი და უარყოფითი ტემპერატურის მოქმედება. მასალის წყალშთანთქმის განსაზღვრა. საშენებლო კერამიკა. ჰიდრავლიკური შემკვრელი ნივთიერებები. ბეტონის სპეციალური სახეები. რკინაბეტონის ნაკეთობები, ორგანულ შემკვრელებზე დამზადებული მასალები. პოლიმერული საშენი მასალები და ლაქ-საღებავები.	სავალდებულო	4	III
გეოდეზია	კურსი ითვალისწინებს ტოპო-გეოდეზიური სამუშაოებისა და მათ მნიშვნელობის გაცნობას; გეოგრაფიულ კოორდინატთა სისტემას; რუკებისა და გეგმების ცნებებს და მასშტაბებს; ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების წაკითხვას და მათზე მუშაობას; მარტივი ტოპოგრაფიული გეგმის დახაზვას და გეგმებზე მუშაობას.	სავალდებულო	3	III
შრომის უსაფრთხოება	კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შრომის კანონმდებლობის სამართლებრივი საფუძვლები. წარმოებაში არსებული მავნე ფაქტორების ანალიზი, და მათი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. საწარმოო ტრავმატიზმი. საწარმოო სანიტარიის ძირითადი საკითხები - საწარმოო ვენტილაცია, გათბობა, განათება და ვიბრაციის შემცირების ღონისძიებების და ტექნიკური საშუალებათა სისტემა. უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი მოთხოვნები სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას. შრომის დაცვის მოთხოვნები საწარმოო ნაგებობების დაპროექტების და ექსპლუატაციისას. ელექტრო უსაფრთხოების ძირითადი საკითხები.	სავალდებულო	3	III

	ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის საფუძვლები.			
სამშენებლო კონსტრუქციები	სასწავლო კურსი მოიცავს რკინაბეტონის, ქვის და ლითონის კონსტრუქციების მასალების ძირითად ფიზიკო-მექანიკურ თვისებებს და დეფორმაციულ მახასიათებლებს; დატვირთვების სახეებს; შეერთებების სახეებსა და მათ თვისებებს; თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციების განვითარების ტენდენციებს; სამშენებლო კონსტრუქციებთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია არქიტექტურულ პროექტზე მუშაობისას.	სავალდებულო	5	IV
ფორმათწარმოქმნა არქიტექტურაში და დაგეგმარების საწყისები	სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ფორმათწარმოქმნის სახეობები არქიტექტურაში დაგეგმარების მეთოდიკა; ფორმის წარმოქმნის საშუალებები; მწვანე არქიტექტურა და არქიტექტურული ბიონიკა; საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სამრეწველო და დამხმარე შენობა-ნაგებობების პროექტირების პრინციპები;	სავალდებულო	5	IV
არქიტექტურული სტილები და მიმართულებები	საგანი შეისწავლის არქიტექტურულ სტილებსა და მიმართულებებს, რომლებიც ეპოქების მონაცვლეობასთან ერთად მუდმივად იცვლებიან და ვითარდებიან. კურსის გავლა აძლევს სტუდენტს წარმოდგენას მსოფლიო არქიტექტურის განვითარების ზოგად ტენდენციებზე, სტილთა ევოლუციაზე. ეს წარიმართება თითოეული პერიოდისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ობიექტების განხილვით და იმ თავისებურებების გამოკვეთით, რომლებიც მათ ახასიათებდა.	სავალდებულო	5	IV
ქართული სახლი	კურსი მოიცავს ქართული საცხოვრებლის არქიტექტურისა და ყოფისთვის დამახასიათებელი ტრადიციების შესწავლას, არსებული ლიტერატურის მიმოხილვისა და არქიტექტურული ნიმუშების შესწავლას, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციულ არქიტექტურას.	სავალდებულო	5	IV
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD	კურსის მოიცავს შემდეგ საკითხებს: კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკული პროგრამა ArchiCAD-ის პროგრამის ინტერფეისი, სამუშაო გარემო და მისი მორგება, სამუშაო ერთეულები, მასშტაბი, სამუშაო ინსტრუმენტები, ძირითადი მოცურავე პანელები და მათთან მუშაობა, სართულები, ფენები, შექმნილი ელემენტების კორექტირება. მოცულობა, ფოტორენდერი, ანიმაცია. ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის ელემენტის შექმნა, პროექტის შენახვა, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ამობეჭდვა, სხვა პროგრამებთან თავსებადობა. კურსის მიზანია კვალიფიკაციური კადრების მომზადება. სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნა დაეხმაროს მათ შრომის ეფექტურობაში და პროექტის სრული პაკეტის შექმნაში. სტუდენტს შეასწავლოს თანამედროვე პროექტირების მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ნახაზების შექმნა	სავალდებულო	5	IV
არქიტექტურული დაგეგმარება I	კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საცხოვრებელი სახლის ფორმათწარმოქმნის სახეობები არქიტექტურაში და დაგეგმარების მეთოდიკა; ფორმის წარმოქმნის საშუალებები; მწვანე არქიტექტურა და არქიტექტურული ბიონიკა; საცხოვრებელი სახლის პროექტირების პრინციპები. კურსის მიზანია, სტუდენტს მიეცეს საჭირო ცოდნა, დასაქმების ბაზრის ადექვატური	სავალდებულო	5	V

	პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. იმავდროულად დაუსახოს მისი, როგორც არქიტექტორის წინაშე მდგარი, განსხვავებული ამოცანების ჯეროვანი აღქმა და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობაზე დამყარებული დამოკიდებულება.			
არქიტექტურული დაგეგმარება II	კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საზოგადოებრივი ნაგებობების ფორმათწარმოქმნის სახეობები არქიტექტურაში და დაგეგმარების მეთოდოლოგია; ფორმის წარმოქმნის საშუალებები; მწვანე არქიტექტურა და არქიტექტურული ბიონიკა; საზოგადოებრივი ნაგებობების პროექტირების პრინციპები. კურსის მიზანია სტუდენტებს მიეცეს საჭირო ცოდნა, დასაქმების ბაზრის ადექვატური პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. იმავდროულად დაუსახოს მისი, როგორც არქიტექტორის წინაშე მდგარი, განსხვავებული ამოცანების ჯეროვანი აღქმა და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობაზე დამყარებული დამოკიდებულება.	სავალდებულო	5	VI
არქიტექტურული დაგეგმარება III	კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: სამრეწველო შენობა-ნაგებობების ფორმათწარმოქმნის სახეობები არქიტექტურაში და დაგეგმარების მეთოდოლოგია; სამრეწველო შენობა-ნაგებობების პროექტირების პრინციპები. კურსის მიზანია, სტუდენტებს მიეცეს საჭირო ცოდნა, დასაქმების ბაზრის ადექვატური პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. იმავდროულად დაუსახოს მისი, როგორც არქიტექტორის წინაშე მდგარი, განსხვავებული ამოცანების ჯეროვანი აღქმა და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობაზე დამყარებული დამოკიდებულება.	სავალდებულო	5	VII
ქალაქთმშენებლობის თეორია	კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: დაგეგმარება; სივრცითი მოწყობა; ქვეყნის განსახლების ძირითადი ქალაქმშენებლობითი პრინციპები; ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის ძირითადი საკითხები; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და სხვა. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს სამოსახლო ზონის დაგეგმარებისა და განაშენიანების მეთოდოლოგია, რაც ქალაქთმშენებლობის ფუნდამენტური თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.	სავალდებულო	5	V
ლანდშაფტური არქიტექტურა	კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორცაა: ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტის ცნება; ლანდშაფტური პროექტირების ტიპოლოგია; ნაგებობისა და სივრცის კომპოზიცია; სივრცის ორგანიზაცია ბუნებრივი და არქიტექტურული ელემენტების გამოყენებით; საბაღე-საპარკო ხელოვნების მოკლე ისტორიული მიმხილვა; პეიზაჟური სტილი; თანამედროვე ტენდენციები ლანდშაფტურ არქიტექტურაში და სხვა. კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს ლანდშაფტური პროექტირების საფუძვლები, ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების ეტაპები, სტილები, მიმართულებები და ტენდენციები ლანდშაფტურ პროექტირებაში; გაეცნოს უცხოური და სამამულო მაგალითები ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში; ამასთან ნებისმიერი პროფესიული ამოცანის გადაწყვეტისას გამოუმუშავოს სტუდენტს გარემოსეული მიდგომისა და სივრცული აზროვნების უნარი თანამედროვე ფართო ეკოლოგიური მოთხოვნების ჭრილში.	სავალდებულო	5	V

ინტერიერის დიზაინი	<p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება ინტერიერის დიზაინის დაგეგმვის და შექმნის ისეთი საკითხები, როგორცაა: რელიეფის გათვალისწინება, ავეჯის დაგეგმარება; ოთახების განაწილება; გარე და შიდა სივრცეების დაკავშირება; განათება; მასალა და მათი თავისებურებები; კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს ინტერიერისთვის საჭირო სამუშაოების გამოხაზვა, შეთანხმება, წარდგენა; სტუდენტმა შეძლოს წარმართოს დისკუსია და გარჩევა ამა თუ იმ არსებულ ნაგებობასთან დაკავშირებით; სივრცის განხილვა და გაანალიზება; ურთიერთკავშირი გარე და შიდა სივრცეს შორის - რამდენად შეუძლია ინტერიერის დიზაინის სპეციალისტს ადამიანის ფსიქოლოგიაზე, მის განწყობაზე ზემოქმედება. შექმნას ინტერიერის პროექტი</p>	სავალდებულო	5	V
კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture I	<p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორცაა: შეყვანილი, ციფრული ნახაზების მოწესრიგება და პროექტის ძირითადი გრაფიკული ნიშნების გამოყენება; დახრილი სიბრტყის მქონე კედლებიანი შენობების აგება ყველა საპროექტო ნიშნების გამოყენებითა და დატანით და სხვა.</p> <p>კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს ორგანოზომილებაში ხაზვა, სამგანზომილებიანი მოდელების - შენობების აგება. პროექტირების სტადიების უნარ-ჩვევების დაუფლება არქიტექტურისთვის საჭირო პროგრამის საშუალებით. კურსის ძირითადი მიზანია პრობლემიდან გამომდინარე სწავლება. სტუდენტი გაიღრმავებს და სრულყოფილად შეისწავლის კომპიუტერული პროგრამის (Revit- architecture) ინსტრუმენტებს.</p>	სავალდებულო	5	V
კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture II	<p>კურსის ფარგლებში შეისწავლება კო პიუტერული პროგრამის საშუალებით სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა თავისი სტრუქტურული (დეტალიზაცია და კვანძები იგულისხმება) გეომეტრიით, ასევე რენდერების და საპრეზენტაციო ბორდების-პლანშეტების შექმნა. ამ ყველაფრის შესაქმნელი ინსტრუმენტები რევიტში თავმოყრილია და არ საჭიროებს სხვა პროგრამების ჩართულობას, რაც პროცესის ხანგრძლივობას ამცირებს და ეფექტურია დროის თვალსაზრისით.</p> <p>სტუდენტები ასევე შეძლებენ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რევიტის ინსტრუმენტის დაუფლებას (CONCEPTUAL MASS), რომელიც ძალზე ეფექტურია და სწრაფი კონცეფტების შესაქმნელად, აგრეთვე კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც თავისუფალი აზროვნება სივრცეში და მისი შესაბამისი ფორმის მოდელების შექმნა აუცილებელია იდეის თვალსაჩინოებისთვის. კურსის მიზანია სტუდენტმა ღრმად შეისწავლოს პროექტის შესრულება და მომიჯნავე სპეციალისტებთან ერთად პროექტზე მუშაობის საშუალებები კომპიუტერული პროგრამის Revit Architecture ის საშუალებით; კერძოდ, სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა, რომელიც ითვალისწინებთ პროექტის ყველა ნახაზს; ამას გარდა სტუდენტი დაეუფლება Conceptual Mass ინსტრუმენტს;</p>	სავალდებულო	5	VI
დისკურსის თემები თანამედროვე არქიტექტურაში I	<p>სასწავლო კურსი მოიცავს თანამედროვე არქიტექტურას, XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, კერძოდ - მოდერნიზმის დასაწყისი; ტექნოლოგიური არქიტექტურის პიკი და შემდგომი ტრანსფორმაცია; იაპონელ მოდერნისტთა მოქმედი თაობები; ამერიკული სკოლები, ორი სანაპიროს ფენომენი; უახლესი მოდერნიზმი დასავლეთევროპულად; კურსის გავლა აძლევს სტუდენტს ცოდნას თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის განვითარების ზოგად ტენდენციებზე;</p>	სავალდებულო	5	V

<p>დისკურსის თემები თანამედროვე არქიტექტურაში II</p>	<p>კურსი შეისწავლის თანამედროვე არქიტექტურის მიმდინარე პროცესებს, კერძოდ - გერმანული რაციონალიზმი; ჰოლანდიური პლურალიზმი; პოსტსტრუქტურალიზმი; სკანდინავიური მოდერნიზმის უახლესი პერიოდი: კონსტრუქცია, დეკონსტრუქცია და უახლესი არქიტექტურა; რეგიონალიზმი, ცენტრისტული არქიტექტურა; სხვა სამყარო, არაბული კვალი; მიმდინარე ტენდენციები თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში; კურსის გავლა აძლევს სტუდენტს ცოდნას თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის განვითარების ზოგად ტენდენციებზე;</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>V</p>
<p>მდგრადი არქიტექტურის პრობლემები</p>	<p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორცაა: თერმული კომფორტი; კლიმატი/მიკროკლიმატი; პასიური სისტემები; ფოტოვოლტარული პანელები; ჩრდილი - მზის სხივის დაბლოკვის საშუალებები; აქტიური სისტემები; განათება; ადგილმდებარეობა, ურბანული დაგეგმარება და ლანდშაფტი; დღის განათება; მექანიკური საშუალებები; არსებული პროექტების განხილვა; მდგრადი არქიტექტურის მომავალი; კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს და გაათავითცნობიეროს მდგრადი არქიტექტურის ძირითად პრინციპები. გაეცნოს მის ისტორიას, ამ მიმართულებით მომუშავე არქიტექტურულ თუ საინჟინრო სახელოსნოების ნამუშევრებს. საჭიროა შეხედოს არსებულ გლობალურ პრობლემას. საკუთარი წვლილი შეიტანოს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში ან გადარჩენაში. გამოიყენოს ეს ძირითადი პრინციპები მის მომავალ საქმიანობაში.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>VI</p>
<p>ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება</p>	<p>სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ქალაქის დაგეგმარების ძირითადი პრინციპები ადგილობრივი რელიეფისა და კლიმატის გათვალისწინებით. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: ქალაქების კლასიფიკაცია და ტიპოლოგია; ურბანიზაციის პროცესის ეტაპების განსაზღვრა; თანამედროვე ქალაქთმშენებლური მოდელები; საცხოვრებელი ზონის დაგეგმარების თავისებურებანი; საქალაქო ცენტრის განაშენიანება; რეკრეაცია და სხვა.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>VI</p>
<p>მცირე დასახლების დაპროექტება</p>	<p>სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს პროექტირების თემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მიღებული ცოდნის პროექტირებაში გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობის მიზნით. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: დასაგეგმარებელი ტერიტორიის აღწერა; დასახლების გეგმარებითი სტრუქტურის ზოგადი მიმოხილვა; დასახლების შემადგენელი ელემენტების თანაფარდობის განსაზღვრა; განაშენიანება; სამოსახლო ზონის დაგეგმარების თავისებურებების შეფასება; ტრანსპორტის ორგანიზაციის საკითხების ჩამოყალიბება და სხვა, კურსის განმავლობაში სტუდენტი მოამზადებს პროექტს, შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>VI</p>
<p>ქალაქის დაპროექტება</p>	<p>კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: ტერიტორიალური პრიორიტეტების განსაზღვრა სტრუქტურის ფორმირება; სამოსახლო ზონის სტრუქტურა, დაგეგმარება და განაშენიანება; ცენტრალური ზონის ურბანული სტრუქტურის გეგმარებით-სივრცითი ანალიზი; ცენტრის ანსამბლის არქიტექტურულ-სივრცობრივი და კომპოზიციური საკითხების დამუშავება; კურსის განმავლობაში სტუდენტი მოამზადებს პროექტს, შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით.</p>	<p>სავალდებულო</p>	<p>5</p>	<p>VII</p>

	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს ქალაქია დაპროექტების პრინციპების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კერძოდ შესაბამისი პირობების გათვალისწინებით თანამედროვე ქალაქის დაპროექტების და გენერალური გეგმის ესკიზური პროექტის შექმნის უნარ-ჩვევები.			
შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაცია	კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა ისტორიული ქალაქის, ცალკეული ძეგლის და შენობათა ჯგუფის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის მთლიან პროცესზე; შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ადაპტაციის პროექტირების საწყისი პროცესის წარმართვაში; ძეგლის ირგვლივ მასალის მოძიებაში; როგორ წარმართოს პროექტირების პროცესი ახალი, ორიგინალური გზებით და მეთოდებით, ზოგადად სივრცის და ობიექტის, გაანალიზების საფუძველზე; არქიტექტურული ძეგლის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტირების საწყისებში. კურსის ფარგლებში განხილული იქნება: <ul style="list-style-type: none"> <li>• ფორმათწარმოქმნის სახეობები არქიტექტურაში დაგეგმარების მეთოდთა;</li> <li>• ფორმის წარმოქმნის საშუალებები;</li> <li>• მწვანე არქიტექტურა და არქიტექტურული ბიონიკა;</li> </ul> საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სამრეწველო და დამხმარე შენობა-ნაგებობების პროექტირების პრინციპები;	სავალდებულო	5	VII
პროექტირების მენეჯმენტი	საგანი შეისწავლის პროექტირების პროცესის მართვას საწყისი ეტაპიდან - საპროექტო ამოცანის დასმიდან დასახული მიზნის მიღწევამდე - პროექტის რეალიზაციის დასრულებამდე. სასწავლო კურსის ფორმატში განიხილება არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის ადმინისტრირების ყველა საკვანძო საკითხი: საპროექტო დავალების შედგენა, საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ესპერტიზა, ხელშეკრულების (კონტრაქტის) მომზადება, შეთანხმებები სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროექტის წარდგენას (პრეზენტაციას) და საქმიანი ურთიერთობების წარმართვას დაინტერესებულ მხარეებთან.	სავალდებულო	5	VII
მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია	თანამედროვე ტექნოლოგიები; სამშენებლო სივრცის სწორად მართვა; სამშენებლო და არქიტექტურული კონსტრუქციების, მასალების სწორად შერჩევა და გამოყენება; პროექტირებისას და მშენებლობისას ბუნებრივ და ხელოვნურ გარემოს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და რისკ-ფაქტორები.	სავალდებულო	5	VII
საინვესტიციო დაგეგმარება	სასწავლო კურსი მოწოდებულია არქიტექტურული პროფილის სწავლება გაამდიდროს საპროექტო-სამშენებლო სფეროში დაგროვილი ეკონომიური და ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებებით. როგორც ცნობილია, ფინანსირების წყაროების მოძიება და მშენებლობის საინვესტიციო უზრუნველყოფა დარგში არსებულ პრობლემებთან ერთ-ერთი უმთავრესია. თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელსაც სასწავლო დისციპლინა სთავაზობს სტუდენტებს ცოდნის იმ დეფიციტის შევსება სემსახურება, რომელიც აუცილებელია სრულფასოვანი დეველოპერული პროექტის შექმნისთვის.	სავალდებულო	5	VIII

სამშენებლო თბოფიზიკა და ენერგოეფექტური შენობები	საგანი შეისწავლის შენობის გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიციონირების ტექნიკის თბოფიზიკურ საფუძვლებს სითბოსა და მასის ცვლის, თერმოდინამიკის, ჰიდრაულიკის, კლიმატოლოგიის, სანიტარული და ჰიგიენური დისციპლინების გამოყენებით. შენობების თბოდანაკარგების საინჟინრო გაანგარიშებას თანამედროვე მეთოდოლოგიურ და ნორმატიულ ბაზაზე დაყრდნობით. ენერგოეფექტური შენობების პროექტირების მეცნიერულ საფუძვლებს და სხვადასხვა ქვეყნებში აგებული ცნობილი ენერგოეფექტური შენობების ინოვაციური არქიტექტურული, ინჟინრული და ტექნოლოგიური გადაწყვეტების მეთოდებს.	სავალდებულო	5	VIII
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფუძვლები	კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს საბაზისო ცოდნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის და კონსერვაციის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ. კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორცაა: კონსერვაციის პრინციპები, უძრავი, მოძრავი, არამატერიალური მემკვიდრეობა; ურბანული მემკვიდრეობა; მემკვიდრეობა როგორც პროცესი; ისტორიული ურბანული ლანდშაფტები და კულტურული ლანდშაფტები; იუნესკოს და ევროპის საბჭოს კონვენციები; საერთაშორისო ქარტიები; ეროვნული კანონმდებლობა; მართვის პრობლემები და ინსტრუმენტები და სხვა.	სავალდებულო	5	VIII
მდგრადი არქიტექტურის სემინარი	კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი მიიღებს ცოდნას არქიტექტურული საქმიანობის, გარემოზე დაბალი ზეგავლენისა და ენერგოეფექტურობის მიღწევის წარმართვაში. კურსის ფარგლებში განხილული იქნება: <ul style="list-style-type: none"> <li>• ლანდშაფტი, გარემო, საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსები;</li> <li>• ადამიანის აქტივობის ზეგავლენა გარემოზე;</li> <li>• პროექტირებასა და მშენებლობაში „მწვანე“ მიდგომის აუცილებლობა;</li> <li>• არქიტექტურის და ლანდშაფტის ინტეგრაციის პრობლემა;</li> <li>• მდგრადი პრინციპების დაცვით ტერიტორიის დაგეგმარების ფილოსოფია.</li> </ul>	სავალდებულო	5	VII
გრაფიკული დიზაინი	კურსის მსვლელობისას მსმენელები გაეცნობიან გრაფიკული დიზაინის ძირითად პრინციპებს. მოკლე ექსკურსის შემდეგ გრაფიკული დიზაინის ისტორიაში საუბარი იქნება იმ მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება დასავლეთში და ეხმარება დიზაინერს გრაფიკული ელემენტების შემუშავებაში. კურსის მსვლელობისას საუბარი იქნება ჟურნალის დიზაინის თავისებურებებზე, გარჩეული იქნება გრაფიკული ბადის მნიშვნელობა ჟურნალის დიზაინში, დეტალურად იქნება გარჩეული ელექტრონული პუბლიკაციების ფორმატები და ელექტრონული ჟურნალის შექმნისათვის საჭირო პროგრამები. სტუდენტები გაეცნობიან კომპიუტერში ჟურნალის აწყობის პრინციპებს და შეისწავლიან კომპიუტერულ პროგრამებს: Illustrator, Photoshop და Indesign-ს. დაამზადებენ ლოგოტიპს. ააწყობენ ჟურნალს	არჩევითი	5	VII
თანამედროვე არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებები	კურსის ფარგლებში განხილულა არქიტექტურული კომპოზიციის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მოიცავს არქიტექტურული ფორმის ვიზუალურ-სივრცული აგების ლოგიკის გამოვლენას. მისი მიზანია ძირითადი კომპოზიციური	არჩევითი	5	VIII

	ცნებების, გამოსახვის ხერხების და ანალიზის მეთოდების, კომპოზიციური აზროვნების ტიპების და მისი ევოლუციის ეტაპების გაცნობა. მოცემულია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის ფაქტობრივი მაგალითები.			
ინტერიერის 3D მოდელირება	კურსის მსმენელები გაეცნობიან 3D მოდელირების ძირითად მეთოდებს და პრინციპებს. მოკლე ექსკურსის შემდეგ ინტერიერის დიზაინის ისტორიაში განხილული იქნება ინტერიერის ძირითადი სტილები, სხვადასხვა ქვეყნების ინტერიერის თავისებურებები, ინტერიერის დიზაინის თანამედროვე ტენდენციები. მსმენელები შეისწავლიან კომპიუტერულ პროგრამებს: 3Ds max Vray ვიზუალიზატორის გამოყენებით, შექმნიან ოთახის ინტერიერს ყველა შესაბამისი ეტაპების გავლით: ნახაზის შექმნა, ობიექტების 3D მოდელირება, მასალების გადატანა ობიექტებზე, კამერის დაყენება, განათების შექმნა, საბოლოო ვიზუალიზაცია.	არჩევითი	5	VIII
არქიტექტურული პროექტი	კურსის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: იდეის კომპოზიციურ-გეგმარებითი გადაწყვეტები; მოცემული გარემო ფაქტორების გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორიისა და მოდელის არქიტექტურულ-სივრცითი გადაწყვეტა; ობიექტის ფუნქციურ-გეგმარებითი გადაწყვეტა და კონსტრუქციული სქემა; საპრეზენტაციო მასალის მოთხოვნებთან შესაბამისობა და გრაფიკული გაფორმება; ვერბალური პრეზენტაცია, გამოფენა. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ არქიტექტურულ პროექტს-ნაშრომს განსაზღვრულ თემაზე / საცხოვრებელი, საზოგადოებრივი ან სამრეწველო დანიშნულების ნაგებობები/ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს, ჩაატაროს პრაქტიკული, კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. ის გულისხმობს სტუდენტის მიერ არქიტექტურული პროექტის გადაწყვეტის შემუშავებას, მასალის მოძიებას, ანალიზს, შედეგის განხილვას, დავალების შედგენას, ესკიზებზე მუშაობას, ესკიზის განხილვას და დამტკიცებას, პროექტის შესრულებას, პროექტის წერილობით ანგარიშს და საბოლოო პრეზენტაციას.	სავალდებულო	10	VIII